ევროპის უნივერსიტეტი

საგანი: გადასახადები
ლექტორი:გივი ბედიანაშვილი
პრეზენტატორი: თამარ შამოევი

პრეზენტაციის თემა: თურქეთი, როგორც საქართველოს ბიზნეს პარტნიორი,საგადასახადო სისტემის თავისებურებები

მოგესალმებით



ამ პრეზენტაციის მიზანია,გავაცნოთ აუდიტორიას თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები და თურქეთის საგადასახადო სისტემის თავისებურებები.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები — წარმოადგენს ურთიერთობებს თურქეთსა და საქართველოს შორის. დიპლომატიური კავშირი დაამყარეს 1992 წლის 21 მაისს[1].
საქართველო-თურქეთს შორის თანამშრომლობა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და წარმატებით ვითარდება, როგორც პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში.

ორი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმით, პირადობის მოწმობების საფუძველზე. თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია.

ამასთან, საქართველო დაინტერესებულია გაზარდოს ექსპორტი თურქეთის ბაზარზე.
აღსანიშნავია საქართველო-თურქეთის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული ენერგეტიკული პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელებისა და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაციისთვის.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური მექანიზმია საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამმხრივი ფორმატი, რომელსაც 2012 წელს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ჩაეყარა საფუძველი („ტრაპიზონის დეკლარაცია“). აღნიშნული მექანიზმი ასევე მოიცავს თანამშრომლობის ფორმატებს პრეზიდენტების დონეზე, პარლამენტების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებსა და თავდაცვის მინისტრებს შორის.

სამმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით, არსებობს სამმხრივი ბიზნეს-ფორუმების ჩატარების პრაქტიკა.

წარმატებულად გრძელდება ორი ქვეყნის თანამშრომლობა განათლების სფეროშიც.

თურქეთის საგადასახადო სისტემის საერთო მახასიათებლები.

ისევე ,როგორც საქართველოს საგადასახადო სისტემა , თურქეთის საგადასახადო სისტემა შეიძლება დავყოთ ორ ქვესისტემად:პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. თურქეთის პირადაპირი გადასახადის სისტემა შედგება ორ ძირითად გადასახადისაგან: მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.საშემოსავლო გადასახადს იხდიან ფიზიკური პირები. იურიდიული პირები კი იხდიან მოგების და შემოსავლების გადასახადს.ფიზილური პირებისათვის დაბეგვრის წესები მოყვანილია კანონში საშემოსავლო გადასახადის შესახებ.იურიდიული პირებისათვის არეგლამენტირებს კანონი კორპორაციის გადასახადების შესახებ.

- ერთ-ერთ მთავარ არაპირდაპირ გადასახადს თურქეთში წარმოადგენს დღგ (დამატებითი ღირებულების გადასახადი) (18%) ;
- გადასახადი ოფიციალურ დოკუმენტებზე;
- გადასახადი სატრანსპორტო საშუალებაზე;
- გადასახადი საბანკო და სადაზღვევო ოპერაციებზე;
- მემკვიდრეობის და საჩუქრის მიღების გადასახადი;
- საკუთრებაში გადაცემის გადასახადი;
- უძრავი ქონების გადასახადი;
- კავშირის გადასახადი;
- დროებითი განათლების გადასახადი;
- საბაჟო გადასახადები;
- სპეციალური მოხმარების გადასახადი;
- სხვა გადასახადები სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ძირითადი გადასახადი

თურქეთის სახელმწიფოს მთავარ გადასახადს წარმოადგენს : საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადს, საბაჟო გადასახადები. მთელი საგადასახადო სისტემა ეფუძნება სამ ძირითად გადასახადს.ესენია:საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციის და დამატებითი ღირებულების გადასახადი. ამათი შემოსავალი შეადგენს მთლიანი შემოსავლების 80 %

თურქეთში, სახელმწიფოს სასარგებლოდ, არსებობს სხვადასხვა სახის გადასახადები : სასამართლო ,ნოტარიული ,საკონსულო,გემები და პორტები,სალიცენზიო და სასერ თიფიკატო,კავშირი,პასპორტის გაცემა,ვიზების და სხვა დოკუმენტების ,რომელიც გაცემულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

საგადასახადო რეჟიმი

გადასახადები-ეს არის მთავრობის შემოსავლების ძირითადი წყარო.80-იანი წლების მეორე ნახევარში საგადასახადო სისტემის რეორგანიზაცია თურქეთში ოზალმა მოახდინა.თურქეთის საგადასახადო სისტემაში სწორედ მან შემოიღო დღგ. ოზალის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო ე.წ. ფონდის გაფართოება,რომლის მიზანი იყო ზოგადი პროგრამების,კერძო კაპიტალის, თავდაცვის,ექსპორტის,სამთო განვითარების და ა.შ. დაფინანსება სახელმწიფოს მონაწილეობით .

საშემოსავლო გადასახადი (15%-35%)

საშემოსავლო გადასახადი ეხება კონკრეტულ პირებს ფიზიკურ პირებს, რომლებიც ეწევიან ნებისმიერ სამუშაოს,როგორც დასაქმებული პირები,რომლებიც იღებენ ხელფასს.ეს დასაქმებული პირები იხდიან საშემოსავლო გადასახადს,როგორც წესი, ყოველთვიურად,სხვა კატეგორია კი კალენდარული წლის განმავლობაში მარტში ,ივნისში ,სექტემბერში, თანაბარ წილად. მიმდინარე განაკვეთი მერყეობს წლიური მოგების 25%-დან 50%-მდე.

საშემოსავლო გადასახადს ექვემდებარებიან თურქეთში მცხოვრები ფიზიკური პირები,რომლებიც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ქვეყანაში.ასევე ეს შეიძლება იყვნენ პირები , რომლებიც 1 წლის განმავლობაში 6თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდნენ ქვეყანაში,გარდა იმ უცხოელების , რომლებიც იმყოფებოდნენ 6თვეზე მეტ ხანს.

კანონის მიხედვით,საშემოსავლო გადასახადებისაგან ნაწილობრივად გათავისუფლება ხდება ,თუ ეს ეხება მცირე ფერმერებს ,მცირე მოვაჭრეებს და ა.შ.

როგორც წესი საგადასახადოს ჩამოჭრა ხორციელდება წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით.გადასახადის გამოთვლა ხდება გადასახადის შემდეგ 6 ჯგუფზე დაყრდნობით :

- 25%
- 30 %
- 35 %
- 40%
- 45%
- 50%

მოგების გადასახადი

თურქეთში კომპანია ითვლება რეზიდენტად,თუ მისი იურიდიული მისამართი და მართვის ადგილი მდებარეობს თურქეთში. გარდა დივიდენდისა,რომელიც გათავისუფლებულია გადასახადებისაგან გათავისუფლების [illegible]ობით ,მთლიანი მოგება, მიღებული საშემოსავლოდან ჩართულია დასაბეგრ შემოს[illegible]ნიარტული მოგების განაკვეთია – 20% .

დაბეგვრის სპეციფიკა იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან

კანონის თანახმად, გადასახადის გადამხდელი თურქეთში შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. საშემოსავლოს გადასახადის გადამხდელები არიან მხოლოდ ფიზიკური პირები,გადასახადს კორპორაციებზე-იურიდიული პირები.დღგ-ს კი იხდიან ,როგორც ფიზიკური ,ისე იურიდიული პირები ყოველი საქონლის წარმოებაზე,მომსახურებაზე და მათ განაწილებაზე.

ნათელია, რომ უფრო ხშირად გადასახადების გადახდა ფიზიკური პირების მიერ მისი ან მინდობილი პირის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს . იურიდიული პირების მიერ გადასახადების გადახდა ფინანსურ საქმიანობაში მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს და იგი ხორციელდება, როგორც წესი, უფლებამოსილი და პასუხისმგებელი იურიდიული პირის მიერ.

დაბეგვრის საერთაშორისო ოპერაციები

თურქეთში,საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გაფართოების მიზნით, დარეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიულ პირების საქმიანობის კონტროლი დაბეგვრის თვალსაზრისით უფრო რთული ხდება .ყველაზე დიდი პრობლემა იმპორტთან არის დაკავშირებული,რადგან აქ მოქმედებს ორმაგი დაბეგვრის კანონი.

საზღვარგარეთ მცხოვრები თურქეთში უცხოური წარმომადგენლები,რომლებიც არიან გადასახადის გადამხდელი პირები,კანონის შესაბამისად, გადასახადის კუთხით, სრულიად პასუხისმგებელნი არიან თურქეთის ხელისუფლების წინაშე.

გმადლობთ

ყურადღებისთვის!